

კავკასიის უნივერსიტეტის
კავკასიის მედიის სკოლა
10.06.2011

ბავშვთა საკითხების გაშუქება და მედიაეთიკა

ავტორი: ნინო სამნიაშვილი

თემის ხელმძღვანელი: ეკატერინე ბასილაია

თბილისი 2011

შინაარსი

შესავალი.....	3
ლიტერატურული მიმოხილვა.....	4
მეთოდები	8
შინაარსობრივი ანალიზი.....	8
ბიბლიოგრაფია	10
დანართი	12

ბავშვთა საკითხების გაშუქება და მედიაეთიკა

შესავალი

მასმედია ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროშია შემოჭრილი. მას დიდი და მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრია. საუბარი, იმაზე თუ რამდენად ობიექტურია დღეს მედია ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხის გაშუქებისას, რთულია, მაგრამ ის ფაქტი რომ ხშირ შემთხვევაში მედიაში ჩნდება ჟურნალისტური მოხერხებულობით უფრო გამბაფრებული ან გამწვავებული ვიდეომასალები, გარკვეულ უნდობლობას იწვევს მაყურებელში.

არსებობს ძალიან ბევრი სტრეოტიპი-ბავშვებს ხატავენ, როგორც ძალადობის, კონფლიქტების, დანაშაულისა და სიღარიბის მსხვერპლთ ან განიხილავენ მოზრდილთა სამყაროს მომხიბლავ და გასართობ აქსესუარად. ქართულ კულტურაში ბავშვებისადმი დამოკიდებულება ჯეროვნად შესწავლილი არ არის. არ არსებობს ლიტერატურა, სადაც აღწერილია როგორ ვექცევით ბავშვებს, რა დამოკიდებულება გვაქვს ან როგორ უნდა მივუდგეთ მათ. ეს არცოდნა თავს მაშინ იჩენს, როცა საქმე მოზარდთა პრობლემების გაშუქებას ეხება და ჟურნალისტებმა ეს სათუთი საკითხი საზოგადოებას უნდა წარუდგინონ. დღეს საქართველოში არ იციან როგორ უნდა მიუდგნენ მცირეწლოვან რესპონდენტებს, რომ მიიღონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამას „UNISEF-ის“ (2008) მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევებიც ადასტურებს.

ჟურნალისტებს, ოპერატორებს, ფოტოგრაფებს სააშკარაოზე გამოაქვთ თუ რა გაუსაძლის პირობებში ხვდებიან ხშირად ბავშვები, უფროსების მხრიდან ძალადობის ფაქტები. მედიაში ბავშვთა უფლებების დაცვა იწყება და მთავრდება იმის გაშუქებით, ვინ, როდის და რა პირობებში გაიკეთა აბორტი, მიატოვა ახალშობილი, სასტიკად სცემა თავისი შვილი თუ გერი. ისინი თავდაუზოგავად გადმოსცემენ ბავშვების თავს დატეხილ დრამებსა და ტრაგედიებს და არ ინტერესდებიან აგრესიის გამომწვევი მიზეზების გარკვევით, ამ პრობლემის დაძლევის გზების პოვნით. ასეთი ტენდენციის გამო, გადავწყვიტეთ კვლევა ჩავატაროთ, რათა უკეთ შევაფასოთ, თუ როგორ აშუქებენ ბავშვთა საკითხებს მედია საშუალებები და რამდენად იცავენ ეთიკურ ნორმებს.

მედიაკვლევა: ბავშვთა საკითხების გაშუქება საინფორმაციო გამოშვებებში და მედიაეთიკა.

კვლევის მიზანი: ქართულ მედია სივრცეში ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების კვლევა ჟურნალისტურ სტანდარტების, ეთიკისა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხების გათვალისწინებით.

კვლევის ობიექტი: 2010 წლის 1 იანვრიდან „პირველი არხის“; „რუსთავის 2-ისა“ და „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტები.

საკვლევი კითხვები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

შეკითხვები:

1) ბავშვთა საკითხების გაშუქებისას იცავენ თუ არა ჟურნალისტები ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებულ სტანდარტებს და ეთიკურ ნორმებს?

2) ინფორმაციული თვალსაზრისით, რამდენად დაცულია წყაროთა ბალანსი და რამდენად ამომწურავად არის გადმოცემული პრობლემა?

3) მედია საშუალებების მიერ ბავშვთა საკითხებზე მომზადებულ სიუჟეტები რა გავლენა ახდენს კონკრეტულად ბავშვებზე?

ბავშვებსა და მასმედიას შორის ურთიერთკავშირი განსაკუთრებით ხაზგასმულია „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“, რომელიც განსაზღვრავს მთავრობებისა და კერძო პირების მოვალეობებს ბავშვთა უფლებების დაცვისა და განმტკიცების საქმეში, გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს ერთხმად მიღებული კონვენცია. მასმედია შეახსენებს საზოგადოებას, რომ ბავშვები და მოზარდები იმსახურებენ მათ მიმართ პატივისცემას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები ისე უნდა გაშუქდეს, რომ შეესაბამებოდეს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებულ სტანდარტებსა და ეთიკურ ნორმებს. ასევე უნდა იცავდეს ბავშვის უფლებებს.

გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით შექმნილ სახელმძღვანელოში „ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში“, (2008) რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბრიტანული მედიაეთიკის სტანდარტებს ეფუძნება, აღნიშნულია, რომ აუცილებელია, ჟურნალისტმა შეამოწმოს, რამდენად მიზანშეწონილია ამ ბავშვების ვიანობის გამხელა (სახელისა თუ გვარის, ფოტოსურათის ჩვენება), ან მისი ვიანობის გამხელისათვის

საკმარისი სხვა სახის ინფრომაციის მიწოდება (საცხოვრებელი ადგილის, მეზობლის, მასწავლებლის, მეგობრების ჩვენება, ბავშვის ახლობლებისაგან ინტერვიუს აღება, მათი ვინაობის სრული გამჟღავნება) მაგალითად, ბავშვი რომელიც მედიის წარმომადგენელს ესაუბრება, შესაძლოა, თავდასხმის ობიექტი გახდეს, თუ ამ ბავშვის ხელმძღვანელი მიხვდება, რომ იგი ისეთ ინფრომაციას ავრცელებს, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდება უფროსების წინააღმდეგ ბრალის წაყენება.

ჟურნალისტები ხშირად ბავშვების ზედმეტად ტრაგიკულ კონტექსტში წარმოჩენის მიზნით, რათა საზოგადოების ემოციური რეაქცია გამოიწვიონ, ბავშვის ცრემლიან სახეს აჩვენებენ, რაც ყოველად დაუშვებელია, რადგან ამ ბავშვის ვინაობის გამხელას, შესაძლოა, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შედეგები მოყვეს. თუ სიუჟეტისათვის ცრემლია საჭირო, მაშინ აქცენტი მოლოდ ცრემლზე უნდა გაკეთდეს და არა მთლიან სახეზე.

„Unisef-ის“ (2008წ) ნაშრომში მოცემულია მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, სადაც აღნიშნულია, რომ გამოცდილების არქონისა და არასაკმარისი ლექსიკის გამო, შესაძლოა ტრამვირებული ბავშვის მონათხრობი ძალიან ემოციური იყოს და მის გრძნობებსა და შიშს უფრო ასახავდეს, ვიდრე რეალობას. ამიტომ მათი ნათქვამის უტყუარ მტკიცებულებად მიღება მანამდე არ შეიძლება, სანამ ეს ფაქტი სხვა მოწმეებთან არ იქნება გადამოწმებული. გასარკვევია, რამდენად იცავენ თუნდაც ამ ფაქტორს ტელევიზიები.

ურთიერთდამოკიდებულება ბავშვებსა და მედიას შორის, ისევე, როგორც მასმედიასა და კონვენციას შორის, მრავალმხრივი და რთულია. ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა აღნიშნული საკითხის სხვადასხვა ასპექტის შესასწავლად.,

ოსლოს მთავრობისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე 1999 წლის 20 ნოემბერს შეიმუშავეს ნორმები და მიმართავენ ყველას, ვინ სწავლობს, იკვლევს, კონტროლს უწევს და მონაწილეა ბავშვებსა და მასმედიას შორის მრავალმხრივი ურთიერთობისა:.

- მიიღონ შესაბამისი ინფრომაცია ბავშვთა უფლებების შესახებ, რათა თავიანთი პროფესიული საქმიანობით დაიცვან ეს უფლებები, მოახდინონ მათი პოპულარიზაცია და თავად არ დაარღვიონ ბავშვთა უფლებები არასწორი ქმედებებით;

- იმუშავონ საუკეთესო ჟურნალისტური პრაქტიკისა და ეთიკური ნორმების დაცვით, შექმნან ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი, რომელიც საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ სენსაციური და სტერეოტიპული პუბლიკაციები, დავიცვათ ბავშვები და მათი უფლებები;

- შეებრძოლონ კომერციული ზეწოლის ფაქტებს, რომელთა გამოც დაბალი პრიორიტეტულობა ენიჭება ბავშვებთა დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ბავშვების მიერ თავიანთი აზრის გამოხატვის უფლება, სამართლიანი გაშუქება და ბავშვების ექსპლუატაციისაგან დაცვა.

- ხელი შეუწყო ბავშვებსა და მასმედიის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას, რათა ორივე მხარემ უკეთ გაიგოს ასეთი თანამშრომლობის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები.

2008 წელს გაეროს ბავშვთა ფონდმა ჩაატარა კვლევა: “ბავშვთა საკითხების გაშუქება და მედიაეთიკა საქართველოში”. გამოიკვეთა საკმაოდ შემაშფოთებელი სურათი, რომელიც მას მერე არ შეცვლილა.

ბავშვთა საკითხების გაშუქება სენსიტიურია, რადგან ბავშვს თავის დაცვა არ შეუძლია. ამიტომაცაა, რომ ქართული მედია განსაკუთრებით სცოდავს სწორედ ბავშვთა საკითხების გაშუქებისას და განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში. ქართულ მედიაში 2 სტერეოტიპი გამოიკვეთება - ბავშვი, რომელსაც ენის მოხლეკით უნდა ელაპარაკო, რადგან პატარაა და არა აქვს თავისი აზრი, შეხედულება, და, მეორე, ბავშვები, როგორც რაღაცის მსხვერპლნი. ბავშვი, თავისი მისწრაფებებით, შეხედულებებით, ბავშვი, როგორც პიროვნება, იშვიათად ჩანს. ასეთი ბავშვი ქართულ მედიას თითქმის არ აინტერესებს. გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი მაია ქურციკიძე (2008) წერდა:

როგორ აშუქებს ქართული მედია ბავშვთა საკითხებს, ამ მიმართულებით ჟურნალისტმა ზვიად ქორიძემ, გაეროს ბავშვთა ფონდის „UNICE-ის” (2009) დაკვეთით და მეთოდოლოგიური დახმარებით, სპეციალური კვლევა ჩაატარა.

რამდენიმეთვიანი კვლევის არცთუ სახარბიელო შედეგები 2009 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნდა.

კვლევა ქართული მედიის მიმოხილვას მოიცავდა. კვლევის ავტორმა მონიტორინგი საერთო ეროვნულ და რეგიონულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებულ ისეთ მასალებზე განახორციელა, როგორიცაა: კანონმდებლობა და ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში; ეთიკური ჟურნალისტიკის პრობლემები; ბავშვები და დამნაშავეობა;

არასრულწლოვანთა ვინაობა; ბავშვები და განათლება; სტერეოტიპები და დისკრიმინაცია.

ჟურნალისტები ბავშვთა საკითხების გაშუქებისას დადგენილ სტანდარტებს კვლავ არ იცავენ. საერთო ეროვნულ მედიასაშუალებებში ბავშვთა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ ქსენოფობიური დამოკიდებულება სჭარბობს. რეპორტაჟების რაოდენობამ და სისშირემ შექმნა საზოგადოებრივი განწყობა, რომ მოზარდი თაობა გამოირჩევა განსაკუთრებული სისასტიკითა და ძალადობის სურვილით და, შესაძლოა, მათი მსხვერპლი გახდეს არა მხოლოდ მათივე თანატოლი, არამედ ნებისმიერი ასაკის მოქალაქე. ასეთი კამპანიური მიდგომა საფრთხის შემცველია. ზვიად ქორიძე წერდა:

ჟურნალისტები ქუჩის ბავშვების ცხოვრების ისტორიებს დრამატულად აღწერენ და ამ ბავშვების მიმართ კორექტულ და ეთიკურ დამოკიდებულებას საერთოდ არ იჩენენ. სატელევიზიო არხები ეჭვმიტანილ არასრულწლოვნებს დამნაშავედ ან მკვლელად აცხადებენ. ზვიად ქორიძე(2009) წერდა.

ზვიად ქორიძემ კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ მედია საშუალებები ბავშვთა საკითხების გაშუქების დროს მოზარდთა ბედზე არ ფიქრობენ, არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმციასა და ეთიკურ ნორმებს.

კვლევის ავტორი, ზვიად ქორიძე გამოსავალს პროფესიული ეთიკის ისეთი კოდექსის შექმნაში ხედავს, რომელიც მისაღები იქნება როგორც ჟურნალისტებისთვის, ასევე რედაქტორებისა და პროდუსერებისათვის.

ბავშვთა საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტების მხრიდან ეთიკური საკითხების დარღვევა უკვე მასიური პრობლემა გახდა მსოფლიოშიც. ესტონეთის პრესის ეთიკის საბჭომ კვლევა (2010წელს) ჩაატარა და მიმოიხილა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტელეეთერში გასული სიუჟეტები.

კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ პირადი სივრცის დარღვევის ფაქტები, მშობლის თანხმობის გარეშე ბავშვისგან ინტერვიუს აღება, ფოტოსურათის გადაღება და მისი ტელევიზიით გავრცელება, მომტირალი ბავშვის კადრები ჭარბობდა.

ესტონეთში აბანოებით სარგებლობა გავრცელებული მოვლენაა. ამ კვლევაში განხილული იყო უახლესი მაგალითი (2010) როდესაც ჟურნალისტმა სიუჟეტში აჩვენა აბანოს კადრი, სადაც ონკანთან მცირეწლოვანი ბავშვი გამოჩნდა. ბავშვის მშობლებმა იჩივეს.

ესტონეთის პრესის ეთიკის კოდექსის 3/6მუხლი თანახმად, მცირეწლოვანთა ინტერვიუ და მისი ფოტოს გადაღება, მხოლოდ მშობლებთან შეთანხმებით შეიძლება.

ამას გარდა, ესტონეთის პრესაბჭომ დაასკვნა, რომ აქ პირადი სივრცის უფლება დაირღვა, რადგან აბანო ნახევრადინტიმური ადგილია და ადამიანები დარწმუნებულები არიან, რომ მათ ტანსაცმლის გარეშე არ გადაუღებენ.

საინტერესოა, გაეროს ფონდის მიერ ჩატარებული კვლევა „ბავშვთა საკითხების გაშუქების შესახებ მედიაში“(2009) რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით დიდ ბროშურად გამოიცა. ეს 64 გვერდიანი ნაშრომია, სადაც შესწავლილია სხვადასხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ბავშვთა საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებული დარღვევები და მაგალითებია მოყვანილი.

ეს კვლევა კიდევ უფრო საინტერესოა, რადგან აქ მოყვანილ კონკრეტულ მაგალითებს დართული აქვს მიუსაფარი ბავშვების, ბავშვთა დისკრიმინაციის, ბავშვთა სექსუალური ძალადობის და განათლების მაგალითები, სადაც ნათლად ჩანს, ჟურნალისტები რამდენად არაეთიკურად და სტანდარტების დარღვევით განიხილავენ ბავშვთა საკითხებს. თუმცა აქ შეფასებები დართული არ არის. დასკვნების გაკეთება ჩვენ ამ შემთხვევაში, ბავშვთა საკითხების გაშუქებით დაინტერესებულ საზოგადოებას მოგვანდეს, თუმცა ამისთვის წინაპირობა, ის სდანადარტები და ეთიკური ნორმები გაგვაცნეს, რომლის გათვალისწინებითაც შევძლებთ სწორი შეფასებების გაკეთებას.

საქართველოს პარლამენტში დიდი ხანია დევს კანონპროექტი „მედიის მიერ ბავშვთა კონფიდენციალობის დაცვის შესახებ,” რომელიც ჯერჯერობით ისევ ვერ მიიღეს. კამათია იმის შესახებ, როგორ უნდა დარეგულირდეს ეს საკითხი, სამოქალაქო წესით უნდა მოხდეს დავა თუ ადმინისტრაციულით. სასწორზე ორი ღირებულება დევს: გამომხატვის თავისუფლება და ბავშვთა უფლებები. ორივეს თავისი ქომავები ჰყავს, თუმცა დღეს სტატისტიკაც აჩვენებს, რომ ყველაზე აქტუალური მაინც ბავშვთა უფლებებია.

და აქ უკვე ახალი შედეგები დაიდო: Unisef-ის” (2008) ეგიდით ჩატარებული კვლევის დროს ფსიქოლოგებმა, ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტა ასოციაციის (ფფა) ბაზაზე შემდეგი შემაღენლობით: სოფიო ვერულაშვილი, ფსიქოლოგი, ფსიქოტერაპევტი, თეონა ლომთაძე, ფსიქოლოგი; ხატია ყურაშვილი, ფსიქოლოგი დაასკვნეს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ბავშვთა ინტერსების გაშუქებას ან უგულუბელელ ყოფას შეუძლია გავლენა მოახდინოს ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე და საერთოდ, საზოგადოების დამოკიდებულებაზე ბავშვების მიმართ. მასმედია ხშირად ხატავს ბავშვებს, როგორც პასიურ მსხვერპლებს, ან მშვენიერ უმანკო არსებებს. აძლევს რა საშუალებას ბავშვებსა და მოზარდებს შესაძლებლობას

თვითონ ილაპარაკონ საკუთარ თავზე, თავიანთ იმედებსა და შიშზე, მიღწევებსა და იმაზე თუ რა ზეგავლენა აქვს მოზრდილთა ქცევას მათ ცხოვრებაზე. სიუჟეტებს შესაძლოა, მოულოდნელი შედეგები მოყვეს, ამიტომ ჟურნალისტი ბავშვთა საკითხებზე მასალის მომზადების დროს ძალიან ფრთხილი უნდა იყოს. დაფიქრდეს თავის მოტივაციაზე, რა ზეგავლენას მოახდენს იგი კონკრეტულ ბავშვსა თუ მშობელზე. ამ დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ბავშვების ვინაობის გამხელაა. ფსიქოლოგები, ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტა ასოციაციის (ფფა) ბაზაზე, შემდეგი შემადგენლობით: სოფიო ვერულაშვილი, ფსიქოლოგი, ფსიქოტერაპევტი, თეონა ლომთაძე, ფსიქოლოგი; ხატია ყურაშვილი, ფსიქოლოგი **წერენ**.

ამერიკულ პედიატრთა ასოციაციის ჯგუფმა კვლევა ჩაატარა: (AAP) (2007) ჯგუფმა დაასკვნა, რომ ჟურნალისტების მხრიდან ბავშვთა საკითხების არასწორად გაშუქება არასრულწლოვნებზე უარყოფით გავლენას ახდენს. ოფიციალური კვლევა მედიის ბავშვებზე ზემოქმედების შესახებ ფსიქოლოგთა ასოციაციის მიერ ჯერ კიდევ 1972 წელს ჩატარდა. რომლის შედეგები ეროვნულმა ინსტიტუტმა და ჯანმრთელობის სამინისტრომ 10 წლის შემდეგ, 1982 წელს დადო. მას შემდეგ ანალოგიური კვლევები ამერიკაში აქტიურად ტარდება.

ამერიკულმა ფსიქოლოგიურმა ასოციაციამ (2007წ) დადო დასკვნა, თუ რა გავლენას ახდენს ჟურნალისტების მხრიდან ბავშვთა საკითხების არასწორად გაშუქება მათზე.

ბავშვები აგრესიულები და დაუმორჩილებლები ხდებიან, მათ შურისძიების სურვილი უჩნდებათ. იკეტებიან საკუთარ თავში, საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპლექსი უჩნდებათ და სამყაროდან გარიყულებად მიიჩნევენ თავს, რაც სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პრობლემებს წარმოშობს. აგრესიულად იქცევიან. დიდი ალბათობაა, რომ აფექტის მდგომარეობაში მათ თავიანთ მშობლებზე შური იძიონ. ზოგჯერ თავის დასახიზრების მეთოდსაც მიმართავენ. ყველაზე საშინელი კი თავის მოკვლის მცდელობა ხდება. ამერიკული ფსიქოლოგთა ასოციაცია წერს.

ექიმები, ფსიქოლოგები მოუწოდებენ მედია საშუალებებს, რომ ფრთხილები იყვნენ ბავშვთა საკითხების გაშუქების დროს, რადგან შესაძლოა, ამ უკანასკნელი სწეულების მიზეზი სწორედ მედია საშუალებები გახდნენ. მშობლებს კი ურჩევენ, ბავშვები მედია საშუალებების ძალადობისგან დაიცვან.

შერჩევა:

კვლევისთვის ავარჩევთ რაოდენობრივ კვლევას, რადგან ეს მეთოდი მონაცემების მოპოვების საიმედო ტექნიკაა. რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით სატელევიზიო სიუჟეტების კატეგორიზაცია უფრო საიმედო იქნება და რეალობის ასახვასაც გაცილებით ობიექტურად შევძლებთ.

შერჩევა(**sampling**)

გამოვიკვლევთ ბოლო 2 წლის განმავლობაში ტელეკომპანიებზე „რუსთავი 2“, „იმედსა“ და „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ გასულ 50 სიუჟეტს. ჩვენი კვლევისთვის პოპულაცია შეადგენს 50-ს ($N=50$)

ჩვენი შერჩევა რეპრეზენტატული იქნება. მიღებული ინფორმაციისა და კვლევის შედეგების განზოგადებას მთლიან პოპულარიზაციაზე შევძლებთ.

ვირცევთ ალბათური შერჩევის სახეს, ლატარიის მეთოდით ერთად მოვუყრი თავს სიუჟეტებს და შემდეგ ბრმად ავირჩევთ რამდენიმეს. ვქიქრობთ, ამ სისტემით მიღებულ შედეგებს უკეთ განვაზოგადებთ. ვისეღმძღვანელებთ მარტივი შემთხვევითი შერჩევითი სისტემით, რადგან ეს შეამცირებ ცდომილებას და უფრო რეპრეზენტატული იქნება.

კონტენტ ანალიზი

უნივერსის განსაზღვრა

ჩემი საკვლევი თემა ტელევიზიებში ბავშვთა საკითხების გაშუქებას ეხება. კვლევის მეთოდად ვიყენებ კონტენტ-ანალიზს. კვლევის სფერო გამოიკვეთა გარკვეული ლიტერატურის გაცნობის შემდეგ. ეს უშუალოდ ის მასალებია, რომლებსაც კვლევის მეთოდის არჩევამდე გავეცანი და მათი დახმარებით მივედი კვლევით კითხვებთან.

კვლევის ჩასატარებლად შევარჩიე ყველაზე რეიტინგული ტელეკომპანიების საინფორმაციო გამოშვებები, რომლებიც არ არის განკუთვნილი სპეციფიკური აუდიტორიისთვის და რომლის დაფარვის ზონაც მთელი საქართველოა. დღეს უკვე ამ ტელევიზიების ყურება ყველა სოციალური ფენისთვისაა ხელმისაწვდომი და ფართო აუდიტორიაზე გათვლილია. ამ ეტაპზე განვსაზღვრე, რომ ვიკვლევ „რუსთავი 2-ის“; „იმედისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში: 8 საათიანი „ქრონიკა“ 8 საათიანი „მოამბესა“ და 9 საათიანი „კურიერში“ გასულ სიუჟეტებს.“ ორი მთავარი მიზანი მაქვს: **1.** ისეთი გადაცემის შერჩევა, რომელსაც დიდი რაოდენობის მაყურებელი ჰყავს და მათში წანოჭრილი პრობლემების კონსტრუირებაში ფართო აუდიტორია იღებს მონაწილეობას. **2.** კვლევა ფოკუსირებული იყოს კონკრეტულ და მოკლე საკვლევ პერიოდზე და მონაცემებიც ოპტიმალურ დონეზე გაანალიზდეს, რათა არ გამეფლანგოს დრო და სხვა რესურსები საკვლევი კითხვისათვის არარელევანტური მონაცემების ანალიზზე.

იდეალური ვარინტი იქნებოდა, რომ ყველა სიუჟეტი შემესწავლა და გამომეკვლია, მაგრამ ვინაიდან ეს რაოდენობა ძალიან დიდია და ჩემი საკვლევი პერიოდი მხოლოდ წელიწადს აღწევს, მჭირდება მიზნობრივი შერჩევა, იმ მიზნით, რომ თითოეულ კვლევით ნიმუშში წარმოვადგინო ის მახასიათებლები, რასაც კვლევა შეისწავლის.

კვლევისათვის შეირჩა პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ტელეარხების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ბავშვთა საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებული სიუჟეტები გროვდებოდა.

შერჩევა

- 1) ჩემი საკვლევი ტემის მასალების წყაროა: სადამოს საინფორმაციო გამოშვებები.
- 2) საკვლევი პერიოდი: 2010 წლის იანვრიდან 2011 წლის ივნისამდე.

ანალიზის ერთეულის შერჩევა

ბავშვთა საკითხების გაშუქების ანალიზის ერთეული იქნება სადამოს საინფორმაციო გამოშვების ახალი ამბავი, სიუჟეტი, რეპორტაჟი, პირდაპირი ჩართვა თუ ნიუსი, (კადრსინქრონი)

შინაარსობრივი/ ანალიტიკური კატეგორიების შედგენა

იმის დასადგენად, თუ რა კატეგორიები უნდა შემუშავდეს გასაანალიზებლად კვლევითი კითხვები ჩამოვაყალიბე:

საინფორმაციო გამოშვებების მიერ ბავშვთა საკითხების გაშუქება

- 1) რა სარკითხებზე მახვილდება ყურადღება ბავშვთა საკითხების გაშუქებისას?
- 2) რამდენად ამომწურავად არის გადმოცემული ჟურნალისტის დასმული პრობლემა?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა დაიშიფროს თითოეული ახალი ამბის ანუ ანალიზის ერთეულის მოცულობა.

- 3) რა წყაროს ეყრდნობა სიუჟეტის მასალები? ამ შემთხვევაში თითოეულ მასალაში გამოიყოფა ინფორმაციის წყაროები და დაიშიფრება კატეგორიების ქვეშ: ადგილობრივი ჟურნალისტების, დაზარალებულების, პოლიციელების,

რიგირთი მოქალაქეების. თუ სხვა. თითოეულ მათგანზე პასუხის ორი ვარიანტი უნდა იყოს: დიახ ან არა.

4) დაცულია თუ არა წყაროთა ბალანსი? ამ შემთხვევაში უნდა გამოიყოს პირველი, მეორე და მესამე ყველაზე მნიშვნელოვანი თემა და დეტალურად იყოს გაშიფრული, რესპონდენტთა სინქრონები:

5) რა ლექსიკური ტერმინოლოგიისა და ვიზუალურ მხარზეა აწყობილი მასალები? აქ მოხდება შედარება ჟურნალიურ სტანდარტებთან, რომელიც მასმედიაშია დამკვიდრებული.

აღსანიშნავია, რომ სატელევიზიო სიუჟეტებში ჟურნალ-გაზეთებისგან განსხვავებით, უფრო მეტი შეცდომის გაპარვაა შესაძლებელი. სიუჟეტი ძიითადად ორიენტირებული კადრებზე და ნაკლებად ტექსტზე. ადამიანი ერთდროულად ცდილობს ყურითაც და ვიზუალურადაც სწრაფად რამდენიმე წუთში აღიქვამს ინფორმაცია. აქ ზედაპირულად განიხილება ნებისმიერი ამბავი დადიდი ალბათობაა, რომ ეთიკური საკითხების დაცვა და გაკონტორლება მკაცრად ვერ ხდება.

ზემოხამოთვლილ კატეგორებს დაემატება „სხვა“ სადაც ისეთი ერთეულები განთავსდება, რომელიც არცერთ სხვა კატეგორიას არ შეესაბამებოდეს. საბოლოო ჯამში კოდირების სახელმძღვანელოში თემები და მათი კატეგორები მოხდება.

ჩემი გათვლით, კოდირების სახელმძღვანელო ბევრ და დაწვრილმანებულ კატეგორიებს მოიცავს. ასევე მასშივე შევა კატეგორები „სხვა“ და „შერეული“ „გაურკვეველი“ და ასე შემდეგ. მასში ისეთი მონაცემები მოთავსდება, რომლებიც სხვა კატეგორიებს არ შეესაბამება. თუმცა ამ შემთხვევაში „სხვა“ და „შერეული“ კატეგორიები ანალიზის ერთეულთა მთლიან რაოდენობის 10%-ს არ აღემატება. მირჩევნია კვლევაში უფრო მეტი კატეგორები მქონდეს კოდირების ცხრილში, ვიდრე ცოტა, რადგან საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე კატეგორიის გაერთიანებას უფრო მარტივად შევძლებ.

კატეგორები ურთიერთეკლუხიური იქნება. ანალიზის ერთი ერთეული მხოლოდ ერთ კატეგორიაში გავა, ხოლო ისეთი ერთეულები, რომლებიც გაურკვეველია ან რამდენიმე კატეგორიას მიემართება „შერეულ“ კატეგორიაში მოხდება.

ბავშვთა საკითხების გაშუქება ძირითადი ტელევიზიების მიერ.

1. სიუჟეტის (ანალიზის ერთეულის) საიდენტიფიკაციო ნომერი (0001-დან 1000-მდე)

2. ტელევიზიები:

1. „რუსთავი 2“

2. „იმედი“

3. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“

3. გასვლის თარიღი: დღე/თვე

მასალის შესახებ

4. ბლოკი;

5. რიგითობა;

6. სიუჟეტის მოცულობა (რამდენწუთიანია)

7. მასალის ტიპი;

ახალ ამბავი; (Hard News)

პირდაპირი ჩართვა, ადამიანური ისტორია, ფიჩერსი,

სხვა კატეგორია (დაინომრება 9-იანით, 99-ით და ა.შ)

მასალაში ასახული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი აქცენტირებული თემა (9-11)

1. ყველაზე მნიშვნელოვანი თემა; (ბავშვთა საკითხების გაშუქებისას, ჟურნალისტმა რესპონდენტებთან საუბრის შედეგად, რა თემა გამოყო და რაზე გააკეთა უმთავრესად აქცენტი ?

2. რიგით მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი თემა; (სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ ყურადღებაგამახვილებული საკითხი.)

3. რიგით მესამე მნიშვნელოვანი თემა (სიუჟეტში გამოყოფილი საკითხი, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვანია)

მასალის ტიპი

1. ახალი ამბავი–ისეთი სიუჟეტი, რომელიც დროის მოკლე მონაკვეთს ასახავს და პირდაპირი ჩართვით, მოქმედების ადგილიდანაა გადმოცემული
2. ამბები, რომლებიც ფოკუსირებულია რომელიღაც კონკრეტულ ასპექტზე. ან თან ურთავს წინარეისტორიას, ან მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება განიხილავდეს ამბის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს.

კოდირების დროს ახალი კატეგორიების წარმოშობის შემთხვევაში, ისინი თავისთავად დამატება ნუსხას.

წყაროები

თემები მიემართება ჟურნალისტების მიერ გამოკითხულ ადამიანებს.

კოდირების კატეგორიებია: 1). დიახ 2. არა

ანალიზის ერთეულის გაშიფვრისას, თუ რა რომელი კატეგორიის ქვეშ მოთავსდება, ეს თავმოყრილი იქნება „კოდირების ინსტრუქციაში.“ ასევე გასათვალისწინებელია, რომ მონაცემთა დამუშავებისას შედეგებზე შეიძლება გავლენა იქონიოს კოდირების სუბიექტურობამ (როდესაც მათ ვთხოვთ, შეაფასონ ესა თუ ის ერთეული, როგორც დადებითი ან უარყოფითი. ამიტომ, ჩემი მოთხოვნა იქნება ამის თავის ასარიდებლად, მათ მიეწოდოთ გასაგები ინსტრუქცია.

კოდირების ინსტრუქცია ბავშვთა საკითხების გაშუქებაზე

1. სტატიის საიდენტიფიკაციო ნომერი

თითოეულ სიუჟეტს მიენიჭება ნომერი 0001-იდან 1000-მდე იმ რიგითობით, რა რიგითობიდანაა გაანალიზდება ისინი.

2. ტელეკომპანიები:

1 „რუსთავი 2“

2. „მედი“

3. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“

3. ეთერში გასვლის დრო

მასალის შესახებ

მითითებული იქნება ბლოკი, რომელშიც სიუჟეტები გავიდა და თითოეულს მიენიჭება თავისი კოდი.

ბლოკთან ერთდ მითითებული იქნება დრო და გამოვიყენებ ორციფრიან დანომვრას. 01, 02, 03...

საკვლევი თემის კოდირების ცხრილი ასეთი იქნება:

თითო ანალიზის ერთეულისთვის (თითო სიუჟეტისთვის) ერთი ცხრილი იქნება გამოყენებული და ამა თუ იმ კითხვის გასწვრივ შესაბამისი კატეგორიის კოდი დაიწერება. (კითხვების გასწვრივ დეფისთა რაოდენობა პასუხის სიმბოლოთა რაოდენობას ასახავს.

კოდერის სახელი:_____

გაშიფვრის თარიღი _____

სიუჟეტის სათაური_____

1. სიუჟეტის საიდენტიფიკაციო ნომერი (0001-1000)
2. ტელევიზია;
3. ეთერში გასვლის დრო;
4. ბლოკი;
5. სიუჟეტის ხანგრძლივობა;
6. ტიპი;
7. რიგით პირველი ძირითადი თემა;
8. რიგით მეორე ძირითადი თემა;
9. რიგით მესამე ძირითადი თემა.

კატეგორიები ამ ერთეულისთვის:

1. ბავშვები და მათი უფლებები;
2. ბავშვები, როგორც ძალადობის მსხვერპლნი;
3. დანაშაულისა და სიღარიბის მსხვერპლი ბავშვები;
4. ბავშვების თავს დამცემადი ტარეგედიები;

5. მშობლების მხრიდან ბავშვებზე ზაღადობის ფაქტები;
6. მოძალადე მოზარდი თაობა;
7. ეჭვიმტანილი არასრულწლოვნები;
8. აგრესიული ბავშვები და შედეგები;
9. ქუჩის ბავშვების დრამატული ცხოვრების ისტორიები;
10. არასრულწლოვან დამნაშავეთა მსხვერპლნი;
11. ეჭვიმტანილი არასრულწლოვნები;

წყაროები:

ჩემს საკვლევ თემაში სხვადასხვა კოდერი მიიღებს მონაწილეობას, რომელიც კვლევას უფრო მრავალფეროვანს გახდის განსხვავებული პერპექტივითა და მიდგომით. რადგან ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა კოდერის (განხვავებული ასაკითა და სქესით) მიერ გაშიფრული ანალიზის ერთეულები უფრო სანდოს შედეგს დადებს, ვიდრე ერთი კოდერის მიერ გაშიფრული.

ყველა ერთეულის გაანალიზების შემდეგ კვლევის სანდოობის შესამოწმებლად გადავხედავ დაშიფრულ მასალას: მისი 10 %-ს მივცეთ სხვადასხვა კოდრეს და გადავამოწმებ, რამდენად დაემთხვევა შედეგები წინა კოდერის მიერ შევსებულ კოდირების ცხრილს., რომელშიც ჩემი გათვლით, დამთხვევა სულ მცირე 80%-ს უნდა შეადგენდეს.

კოდირების ცხრილში მონაცემებს კომპიუტერულ პროგრამებში SPSS da Excel-ში შევიყვან. მონაცემთა სტატისტიკური დამუშავებით კი გამოვითვლი თითოეული თემისთვის, პროცენტებს, საშუალოს, სიხშირეს. და ა.შ. მონაცემთა ანალიზისთვის გამოვიყენებ კროს-ტაბულაციას, რომელიც ორ მონაცემთა შორის ურთიერთდამოკიდებულებას მიჩვენებს.

კონტენტ-ანალიზის საწარმოებლად ბევრი დრო და სოლიდური თანხა დამჭირდება, რადგან რთულია ძველი, დაარქივებული მასალის გაანალიზება, რომელთა მოპოვებაც ფინანსებთანაა დაკავშირებული.

რისკები: ეს მეთოდი მხოლოდ შინაარს აღწერს და ნაკლებად თუ ახსნის შედეგებს; ანალიზისთვის ძნელი იქნება ინტერნეტმასალის გამოყენება, რადგან ვებგვერდის კონტენტი მუდმივად იცვლება. ამისათვის საჭირო გახდება გვერდის შემადგენლობა ელექტრონული სახით შევინახოთ ან მასალები ამოვბეჭდოთ.

ბიბლიოგრაფია

- 1) ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- 2) MDI – ის მიერ მომზადებული საკითხავი წიგნი მრავალფეროვნების გაშუქება მედიაში, თბილისი, 2005;
- 3) ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- 4) საქართველოში სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ დაცვის შურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია

www.ifj.org

პროფესიონალ შურნალისტთა ასოციაცია, ეთიკის კოდექსი;

[Http://www.spj.org/ethicscode.asp](http://www.spj.org/ethicscode.asp)

გაეროს ბავშვთა ფონდი–იუნისეფი;

www.unicef.org/georgia

საერთაშორისო ორგანიზაცია–გადავარჩინოთ ბავშვები;

www.savethechildren.org

სახალხო დამცველის ოფისის ბავშვის უფლებათა ცენტრი;

Andi_მედია მონიტორინგის ასოციაცია

www.andi.org.br

united Nations high Commissioner for Human rights (UNHCHR)

ENOC_European Network of Ombudsmen for children

AMERICAN ACADEMY OF PEDIATRICS. 2001. "Media Violence." *Pediatrics* 108:1222–1226.

FIELD, ALISON E. 2000. "Media Influence on Self-Image: The Real Fashion Emergency." *Healthy Weight Journal*

"Media Violence Cited as 'Critical Risk Factor' for Aggression." (*Science Daily*, November 20, 2008).